შპს „ციფრული ტექნოლოგიები“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

აგვისტო 2023

თბილისი

სარჩევი

	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
	მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
	საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
	ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
	ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები	9
1.	ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2.	კომპანიის საოპერაცია გარემო	10
3.	მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
4.	ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია	19
5.	ძირითადი საშუალებები	22
6.	მარაგები	23
7.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
8.	წინასწარ გადახდილი გადასახადები	24
9.	ფული და ფულის ეკვივალენტები	24
10.	საწესდებო კაპიტალი	24
11.	მიღებული სესხები	24
12.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
13.	ამონაგები	25
14.	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	26
15.	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	26
16.	ფინანსური ხარჯები	26
17.	მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	26
18.	ფინანსური ინსტრუმენტები	27
19.	გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	27
20.	ფინანსური რისკის მართვა	27
21.	კაპიტალის რისკის მართვა	30
22.	ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
23.	საქმიანობის უწყვეტობა	31
24.	წინა პერიოდის შეცდომა	32
25.	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში „მსს ფასს“).

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხი

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მუშაობისას კომპანიის ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა პერიოდის ხარვეზი, რაც აღწერილია 24-ე შენიშვნაში. ჩვენ განვიხილეთ შეცდომები და ვთვლით, რომ შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეიეისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2023 წლის 7 აგვისტო

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებთ და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეიეისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2023 წლის 7 აგვისტო

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 შესწორებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,694,047	3,454,574
არამატერიალური აქტივები		12,262	12,262
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,706,309**	**3,466,836**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,301,259	1,280,926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	91,231	533,875
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	2,189,640	1,542,965
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	166,426	683,352
სულ მოკლევადიანი აქტივები		**3,748,556**	**4,041,118**
სულ აქტივები		**7,454,865**	**7,507,954**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	3,433	3,433
გაუნაწილებელი მოგება		3,719,242	4,671,430
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,722,675**	**4,674,863**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	476,598	104,172
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**476,598**	**104,172**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,427,975	1,581,950
მიღებული სესხები	11	827,617	1,146,969
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,255,592**	**2,728,919**
სულ ვალდებულებები		**3,732,190**	**2,833,091**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**7,454,865**	**7,507,954**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 7 აგვისტო

თეიმურაზ დოლიძე	ნატალია კობერიძე
დირექტორი	ფინანსური დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 შესწორებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,694,047	3,454,574
არამატერიალური აქტივები		12,262	12,262
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,706,309**	**3,466,836**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	1,301,259	1,280,926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	91,231	533,875
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	2,189,640	1,542,965
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	166,426	683,352
სულ მოკლევადიანი აქტივები		**3,748,556**	**4,041,118**
სულ აქტივები		**7,454,865**	**7,507,954**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	3,433	3,433
გაუნაწილებელი მოგება		3,719,242	4,671,430
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,722,675**	**4,674,863**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	476,598	104,172
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**476,598**	**104,172**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,427,975	1,581,950
მიღებული სესხები	11	827,617	1,146,969
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,255,592**	**2,728,919**
სულ ვალდებულებები		**3,732,190**	**2,833,091**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**7,454,865**	**7,507,954**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 7 აგვისტო

თეიმურაზ დოლიძე	ნატალია კობერიძე
დირექტორი	ფინანსური დირექტორი

შ.პ.ს. "ციფრული ტექნოლოგიები" * Digital Technologies, L.L.C. * 405060142

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი შესწორებული
ამონაგები	13	4,909,182	6,953,648
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(3,749,204)	(3,222,202)
საერთო მოგება		**1,159,978**	**3,731,446**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,742,508)	(1,388,616)
საოპერაციო მოგება		**(582,530)**	**2,342,830**
ფინანსური შემოსავალი		2,695	1,254
ფინანსური ხარჯი	16	(100,372)	(120,691)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		(22,126)	27,068
(ზარალი)/მოგებასაკურსო სხვაობიდან	17	(9,697)	119,608
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(712,030)**	**2,370,069**
მოგების გადასახადის ხარჯი		(39,617)	(75,832)
წლის ზარალი		**(751,647)**	**2,294,237**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**(751,647)**	**2,294,237**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 7 აგვისტო

თეიმურაზ დოლიძე	ნატალია კობერიძე
დირექტორი	ფინანსური დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი შესწორებული
ამონაგები	13	4,909,182	6,953,648
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(3,749,204)	(3,222,202)
საერთო მოგება		**1,159,978**	**3,731,446**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,742,508)	(1,388,616)
საოპერაციო მოგება		**(582,530)**	**2,342,830**
ფინანსური შემოსავალი		2,695	1,254
ფინანსური ხარჯი	16	(100,372)	(120,691)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		(22,126)	27,068
(ზარალი)/მოგებასაკურსო სხვაობიდან	17	(9,697)	119,608
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(712,030)**	**2,370,069**
მოგების გადასახადის ხარჯი		(39,617)	(75,832)
წლის ზარალი		**(751,647)**	**2,294,237**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**(751,647)**	**2,294,237**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 7 აგვისტო

თეიმურაზ დოლიძე
დირექტორი

ნატალია კობერიძე
ფინანსური დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,433**	**2,791,238**	**2,794,671**
პერიოდის შედეგი	-	2,294,237	2,294,237
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	2,294,237	2,294,237
გამოცხადებული დივიდენდები	-	(414,045)	(414,045)
მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები	-	(414,045)	(414,045)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,433**	**4,671,430**	**4,674,863**
წინა პერიოდის კორექტირება	-	(36,043)	(36,043)
პერიოდის შედეგი	-	(751,647)	(751,647)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(787,690)	(787,690)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(164,498)	(164,498)
მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები	-	(164,498)	(164,498)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,433**	**3,719,242**	**3,722,675**

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	2022 წელი	2021 წელი (შესწორებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(712,030)	2,370,069
შესწორებები:	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	146,038	109,124
საპროცენტო ხარჯი	100,372	120,691
საპროცენტო შემოსავალი	(2,695)	(1,254)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	-	(8,202)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	9,697	(119,608)
სხვა კორექტირების ეფექტი	(36,043)	28,305
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	**(494,661)**	**2,499,125**
ცვლილება მარაგებში	(20,333)	(463,886)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	359,677	1,542,275
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	(686,292)	(688,464)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებში	847,954	460,314
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	**501,006**	**850,239**
მიღებული პროცენტი	2,695	1,254
გადახდილი პროცენტი	(100,347)	(127,972)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**(91,307)**	**3,222,646**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(387,757)	(1,176,829)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(1,421)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	2,245	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(385,512)**	**(1,178,250)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	1,183,200	1,252,760
გადახდილი დივიდენდი	(164,498)	(414,045)
ნასესხები სახსრების გადახდა	(1,031,191)	(2,243,744)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(12,489)**	**(1,405,029)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**(489,308)**	**639,367**
საკურსო ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(27,618)	(50,870)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**683,352**	**94,855**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**166,426**	**683,352**

შენიშვნები გვერდებზე 9-34 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2-4.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს), საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს „ციფრული ტექნოლოგიებისთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ 2014 წლის 27 აგვისტოს დაარსდა და აქტიურ ბიზნეს საქმიანობას 2015 წლის ოქტომბრიდან შეუდგა. ამ წლების განმავლობაში კომპანიამ შეძლო დაემსახურებინა მომხმარებლის ნდობა და ასევე გამხდარიყო რეგიონში მსოფლიო დონის 35-ზე მეტი წამყვანი მწარმოებლის სანდო ავტორიზებული პარტნიორი.
შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტებით, რომელთა დიდ უმრავლესობას პროფესიონალური რადიო კავშირგაბმულობის, სამხედრო ტექნოლოგიების და უსადენო ქსელური გადაწყვეტების სფეროებში წარმატებული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.
შპს „ციფრული ტექნოლოგიების” 100% წილის მფლობელი და მმართველი დირექტორი არის თეიმურაზ დოლიძე. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405060142.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: სამხედრო ტექნოლოგიები, სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემები, ქსელური უზრუნველყოფა/ მონაცემთა მიმოცვლა. ეს მიმართულებები მოიცავს თანამედროვე ციფრული სამხედრო და პროფესიონალური რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებსა და სისტემებს, ვიდეო ინფორმაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და გადაცემის საშუალებებს, ლოკალურ და რეგიონალურ ქსელურ უზრუნველყოფას, მონაცემთა მიმოცვლისა და ტელემეტრიის სამხედრო და სამრეწველო ტექნოლოგიებს.

ბიზნესის წარმოების ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გვირილების ქუჩა, N 15.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაზე კონვერტაციით სებ-ის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. წლის ბოლოს კურსი არაფულად ერთეულებზე არ ვრცელდება.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ უმეტეს ქვეყანაში თავისუფლად არ კონვერტირდება.

2. კომპანიის საოპერაცია გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მოზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მენეჯმენტისგან მოითხოვს მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენების პროცესში. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარირშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის

პირობებში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ვრცლად იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია გარკვეულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

კომპანიას შეუძლია მთავარ ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;

დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში შესული აქტივების სამართლიანი ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, თუ ხელმისაწვდომი გახდება შესაბამისი განსაზღვრადი გარიგებები.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ

ანგარიშგებაზე. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი” (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების

ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადაფასება.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალება	**სასარგებლო ვადა (წელი)**
შენობა-ნაგებობები	20
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	10
კეთილმოწყობა	5
არამატერიალური აქტივები	5
კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიები	5
მანქანა-დანადგარები	10

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე .

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები ასევე აღიარებულია როგორც მარაგები, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც

განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში. აკუმულირებული მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას და ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.
2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.
2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან; აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი

საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას.

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებლ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:
(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:
(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ჰყავს როგორც შტატიანი, ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის მოთხოვნებისაგან.

პრემიები
გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

შემოსავალის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მიწოდებული მომსახურებიდან და გაყიდული საქონლიდან. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული უნდა შეასრულდეს ხუთსაფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე.

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს ,მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

კომპანია მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: სამხედრო ტექნოლოგიები, სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემები, ქსელური უზრუნველყოფა/მონაცემთა მიმოცვლა. ეს მიმართულებები მოიცავს თანამედროვე ციფრული სამხედრო და პროფესიონალური რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებსა და სისტემებს, ვიდეო ინფორმაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და გადაცემის საშუალებებს, ლოკალურ და რეგიონალურ ქსელურ უზრუნველყოფას, მონაცემთა მიმოცვლისა და ტელემეტრიის სამხედრო და სამრეწველო ტექნოლოგიებს.

მომსახურების მხრივ კი კომპანია აწარმოებს პროდუქციის და სისტემების იმპორტს, დისტრიბუციას, სასწავლო და საკონსულტაციო მომსახურებას, დაპროექტებას, ინტეგრაციასა და ტექნიკურ მომსახურებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში. უფრო ვრცლად იხილეთ ზემოთ შენიშვნა #3-ში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

2022 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

შემოსულობები დანიშნულებისამებრ მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

- ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებისას წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება- ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასებისას რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის

შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, ხელმძღვანელობის მიერ განზრახული საოპერაციო წარმადობის დონის მიღწევამდე.

- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

- ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის გამოყენებისას მითითება უნდა გააკეთოს ბასს 37-სა ან ფასიკ 21-ზე, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლების. ამ ახალ გამონაკლისამდე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

- ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, და მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, ამოღებულ იქნა. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

- ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას, რომ შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

- ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

- მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	**სულ**
თვითღირებულება								
2021 წლის 1 იანვარს	**395,472**	**-**	**663,339**	**39,168**	**21,593**	**231,895**	**1,319,942**	**2,671,409**
შესყიდვები	-		-	14,211	84,902	-	1,077,716	1,176,829
გასვლები	-		-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	**395,472**	**-**	**663,339**	**53,379**	**106,495**	**231,895**	**2,397,658**	**3,848,238**
შიდა გადაადგილება	**-**	2,397,658	**-**	**-**	**-**	**-**	**(2,397,658)**	-
შესყიდვები	-	200,974	-	29,087	157,670	-	-	387,731
გასვლები	-	-	-	-	(2,245)	-	-	(2,245)
2022 წლის 31 დეკემბერს	**395,472**	**2,598,632**	**663,339**	**82,466**	**261,920**	**231,895**	**-**	**4,233,724**
ცვეთა								
2021 წლის 1 იანვარს	**-**	**-**	**(179,920)**	**(27,737)**	**(7,127)**	**(69,757)**	**-**	**(284,541)**
ცვეთის ხარჯი	-	-	(85,543)	7,287	(7,696)	(23,171)	-	(109,123)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**(265,463)**	**(20,450)**	**(14,823)**	**(92,928)**	**-**	**(393,664)**
ცვეთის ხარჯი	-	-	(66,279)	(13,985)	(42,603)	(23,171)	-	(146,038)
გასვლები	-	-	-	-	25	-	-	25
2022 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**(331,742)**	**(34,435)**	**(57,401)**	**(116,099)**	**-**	**(539,677)**
საბალანსო ღირებულება								
2021 წლის 31 დეკემბერს	**395,472**	**-**	**397,876**	**32,929**	**91,672**	**138,967**	**2,397,658**	**3,454,574**
2022 წლის 31 დეკემბერს	**395,472**	**2,598,632**	**331,597**	**48,031**	**204,519**	**115,796**	**-**	**3,694,047**

2022 წელს დაუმთავრებელი მშენებლობიდან მთლიანი თანხა გადავიდა შენობა-ნაგებობების ანგარიშზე. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში შენობა-ნაგებობებს არ ერიცხება ცვეთა, დაერიცხება 2023 წლიდან. 2022 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთის ხარჯს ნახავთ შენიშვნა #15-ში.

6. მარაგები

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
საქონელი	572,805	453,824
ნედლეული და მასალები	537,762	514,620
დაუმთავრებელი წარმოება	190,692	312,482
	1,301,259	**1,280,926**

2022 წლის განმავლობაში რეალიზებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 3,749,204 ლარი. ხოლო 2021 წლის განმავლობაში რეალიზებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 3,222,202 ლარი.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
სავაჭრო მოთხოვნები	68,978	88,507
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(8,921)	(19,177)
	60,057	**69,330**
გადახდილი ავანსი	31,847	-
სხვა მოთხოვნები	(673)	(11,964)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**91,231**	**57,366**

კომპანია აწარმოებს მოთხოვნების ხანდაზმულობის გამოთვლას, საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

2022 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	გაუფასურების განაკვეთი	**ბრუტო საბალანსო ღირებულება**	**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**	**ნეტო საბალანსო ღირებულება**
მიმდინარე	0%	13,355	-	13,355
30 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	45,047	-	45,047
31-60 დღით ვადაგადაცილებული	5%	1,480	74	1,406
61-90 დღით ვადაგადაცილებული	10%	198	20	178
91-180 დღით ვადაგადაცილებული	25%	6	2	4
181-365 დღით ვადაგადაცილებული	50%	134	67	67
365-ზე მეტი დღითვადაგადაცილებული	100%	8,769	8,769	-
სულ		**68,989**	**8,932**	**60,057**

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში საგადასახადო აქტივებმა შეადგინა 2,189,640 ლარი. აქედან ქონების გადასახადი იყო 31,332 ლარი, იმპორტის - 31,788, მოგების - 39,617, ხოლო დანარჩენი თანხა შეადგენს დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადებს.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	153,081	221,757
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,345	460,095
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	1,500
	166,426	**683,352**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არიან სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3,433 ლარს. საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა, 2021 წლის 31 დეკემბრისთვისაც შეადგენდა 3,433 ლარს.

11. მიღებული სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31 დეკ 2022	31 დეკ 2021	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
საბანკო სესხები	827,617	1,146,968	476,598	104,172
	827,617	**1,146,968**	**476,598**	**104,172**

კომპანიამ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აიღო ორი ახალი სესხი, რომელთანაგან ერთი არის საკრედიტო ხაზი.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხების პირობები იყო:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
პროკრედიტ ბანკი	ლარი	13.30%	10.03.2023	499,975	500,000
პროკრედიტ ბანკი	ევრო	5.50%	27.04.2023	83,695	448,439
პროკრედიტ ბანკი	ევრო	7.20%	27.10.2025	720,545	-
პროკრედიტ ბანკი	ევრო	5.5%	30.12.2022	-	302,702
				1,304,215	**1,251,141**

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	**455,726**	**1,895,686**	**2,351,412**
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება		1,252,760	**1,252,760**
სესხის დაფარვა		(2,243,744)	**(2,243,744)**
გადახდილი პროცენტი		(127,972)	**(127,972)**
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
ფინანსური ხარჯი		120,691	**120,691**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(102,006)	**(102,006)**
რეკლასიფიკაცია	**(351,554)**	351,554	**351,554**
2021 წლის 31 დეკემბერი	**104,172**	**1,146,969**	**1,251,141**
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება		1,183,200	**1,183,200**
სესხის დაფარვა		(1,031,191)	**(1,031,191)**
გადახდილი პროცენტი		(100,347)	**(100,347)**
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
ფინანსური ხარჯი		100,372	**100,372**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(98,960)	**(98,960)**
რეკლასიფიკაცია	372,426	(372,426)	**(372,426)**
2022 წლის 31 დეკემბერი	**476,598**	**827,617**	**1,304,215**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
სავაჭრო ვალდებულებები	170,571	-
საგადასახადო ვალდებულებები	2,078,471	1,421,150
	2,249,042	**1,421,150**
მიღებული ავანსები	178,933	160,800
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,427,975**	**1,581,950**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების საკრედიტო პერიოდის ვადაში გადახდა.

13. ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზიციიდან	4,220,054	3,663,772
შემოსავალი მომსახურებიდან	689,128	3,289,876
	4,909,182	**6,953,648**

კომპანიას ძირითადი შემოსავლები აქვს მომსახურებიდან და საქონლის გაყიდვიდან, როგორც საქართველოს, ასევე უცხოურ ბაზარზე.

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
გაყიდული საქონელი	(3,630,761)	(3,148,140)
სხვა	(118,443)	(74,062)
	(3,749,204)	**(3,222,202)**

15. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯები. ძირითადი ხარჯები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	(1,363,818)	(1,137,102)
ცვეთა და ამორტიზაცია	(146,038)	(109,124)
დაზღვევა	(41,958)	(34,090)
საკონსულტაციო ხარჯები	(25,463)	(10,506)
კომუნალური ხარჯები	(24,343)	(21,511)
მივლინების ხარჯი	(15,895)	(150)
ბანკის საკომისიო	(12,799)	(14,023)
რემონტის ხარჯი	(11,765)	(1,740)
კომპიუტერის ხარჯები	(3,852)	(932)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,981)	(2,781)
სხვა საერთო ხარჯი	(91,789)	(54,870)
დაზღვევა	(41,958)	(34,090)
	(1,742,508)	**(1,388,616)**

სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების დიდი ნაწილი შედგება წარმომადგენლობითი ხარჯებისა და სხვადასხვა მომსახურების ხარჯებისგან.

16. ფინანსური ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(100,372)	(120,691)
	(100,372)	**(120,691)**

ფინანსური ხარჯები წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან.

17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2022 წელი	2021 წელი
დადებითი საკურსო სხვაობა	458,041	237,051
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(467,738)	(117,443)
	(9,697)	**119,608**

18. ფინანსური ინსტრუმენტები

მნიშვნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები
ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით *ლარში*	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	60,057	69,330
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	166,426	639,248
სულ ფინანსური აქტივები	**226,483**	**708,578**

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით *ლარში*	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
სესხები	1,304,215	1,251,141
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	170,571	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,474,786**	**1,251,141**

19. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებას. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო პოზიცია და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული

ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა უცხოურ კომპანიებთან განხორციელებული გაყიდვებითა და შესყიდვებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით. შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2022	**საშუალო საპროცენტო განაკვეთი**	
ვალდებულებები	**კონტრაქტით**	**ეფექტური**
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები		
ლარი	13.30%	14.75%
ევრო	5.50%	5.59%
ევრო	7.20%	7.44%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით. რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს. კომპანია მუდმივად აკვირდება კლიენტთა კრედიტუნარიანობას. სადაც შესაძლებელია, იგი მოიძიებს და იყენებს გარე საკრედიტო რეიტინგებს ან/და ანგარიშებს კლიენტთა შესახებ. კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს ურთიერთობას მხოლოდ კრედიტ უნარიან მხარეებთან. საკრედიტო პირობები მერყეობს 30-დან 90 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზისა და კლიენტზე საკრედიტო ლიმიტის განსაზღვრის საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოიშობა ბევრ მომხმარებელთან სხვადასხვა სფეროდან, ფართო გეოგრაფიულ არეალზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს დაბრუნების გონივრული მოლოდინი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანია არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს. სავაჭრო მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია შემდეგნაირად:

31 დეკ 2022	**ნეტო საბალანსო ღირებულება**
პერიოდი	
მიმდინარე	13,355
30 დღეზე ვადაგადაცილებული	45,047
31-60 დღით ვადაგადაცილებული	1,406
61-90 დღით ვადაგადაცილებული	178
91-180 დღით ვადაგადაცილებული	4
181-365 დღით ვადაგადაცილებული	67
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-
	60,057

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადა დამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს.

ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2022	**საპროცენტო განაკვეთის არმქონე**	**ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე**	**ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე**	**ჯამი**
საშუალო შეწონილი (%)			**10.12%**	**10.12%**
6 თვეზე ნაკლები	-	-	744,542	744,542
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	143,933	143,933
1-5 წლამდე	-	-	509,057	509,057
5 წელზე მეტი	-	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	**-**	**-**	**1,397,532**	**1,397,532**

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

21. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
მთლიანი კაპიტალი	3,722,675	4,674,863
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	*(166,426)*	*(683,352)*
კაპიტალი	**3,556,249**	**3,991,511**
მთლიანი კაპიტალი	3,722,675	4,674,863
სესხები	1,304,215	1,251,141
სრული ფინანსირება	**5,026,890**	**5,926,004**
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	*0.71*	*0.67*

22. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ან ოპერაციები ორ მხარეს შორის, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის 33.2-33.4 პარაგრაფებში, ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

(a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(a) ან (d)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(54,040)	(8,121)
	(54,040)	**(8,121)**

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები და ბონუსები	170,306	137,673
	170,306	**137,673**

კომპანიის დამფუძნებელი ასევე არის კომპანიის დირექტორიც, ამიტომ მასზე გადახდილი ხელფასი განიხილება როგორც ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან.

23. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას იმის დაშვებით, რომ სამეურნეო სუბიექტი არის ფუნქცონირებადი საწარმო და ჩვეულებრივ გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.
- 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს 492,964 ლარით (2021: 1,312,199 ლარით) და ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენდა 1.15-ს (2021: 1.48). ე.ი. უახლოეს საპროგნოზო მომავალში კომპანია შეძლებს აქტივების რეალიზაციით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.
- დროულად ხდებოდა სასესხო ვალდებულებების დაფარვა და არ შეინიშნება კრედიტის გამცემი ორგანიზაციის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის შეწყვეტის ნიშნები.
- 2022 წლის ფულადი ნაკადების შემცირება და წლის ზარალი ძირითადად დამოკიდებულია მთლიანი შემოსავლების შემცირებასა (2,044,466 ლარით) და საოპერაციო ხარჯების გაზრდაზე (880,894 ლარით). გამომწვევი მიზეზები და სამომავლო პროგნოზები განხილულია ქვემოთ:
    - შპს ციფრული ტექნოლოგიების შემოსავლები რეალიზაციიდან 2022 წელს წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 550,000 ლარზე მეტით, თუმცა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა 2,600,000 ლარზე მეტი თანხით, რის შედეგადაც მთლიანი შემოსავლების შემცირებამ ორ მილიონ ლარს გადააჭარბა. შემოსავალი მომსახურებიდან ძირითადად შედგება გრძელვადიანი სამხედრო კონტრაქტების საკომისიო თანხებიდან. აღნიშნული თანხების

გამოყოფა ხანგრძლივი პროცესია და წინაწარი განხილვიდან საბოლოო შეკვეთის მიღებასა და მის რეალიზაციამდე ხშირად 9-12 თვე ან უფრო მეტი გადის. 2021 წელს მიღებული თანხები ძირითადად 2019/2020 წლებში დაგეგმილ და რეალიზებულ პროექტებს განეკუთვნება. ამის შემდეგ კი კოვიდის პანდემიამ და შემდეგ უკრაინაში გაჩაღებულმა ომმა მკვეთრი ზეგავლენა იქონია სამხედრო პროექტების განხორციელების გრაფიკზე. პროექტები არ შეწყვეტილა, მაგრამ 2021 წლის პროექტების უდიდესი ნაწილი 1-1.5 წლით შეყოვნდა და მათი რეალიზება (2022 წლის პროექტებთან ერთად) ახლა მიმდინარეობს. 2023 წლის მეორე ნახევრიდან კვლავ აქტიურად შემოდის 2021/2022 წლების პროექტების მომსახურების თანხები, რაც ადექვატურად აისახება კომპანიის 2023 და 2024 წლების ფინანსურ მდგომარეობაზე.

- რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა დაკავშირებულია 2020-2022 წლებში მსოფლიოში ლოგისტიკური ხარჯების მკვეთრ ზრდასთან. პანდემიის პერიოდში დაგროვებულმა პრობლემებმა და შემდგომ რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრად გაზარდა სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურებების ხარჯები, რაც ბუნებრივია შესაბამისად აისახა პროდუქციის თვითღირებულებაზე.
- საოპერაციო ხარჯების ზრდაზე ასევე გავლენა იქონია თანამშრომელთა რაოდენობის ზრდამ 2022 წლის II და IV კვარტლებში. ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია კომპანიის ზრდისა და განვითარების პროცესში. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ბიზნესში ჩართული კომპანიის თანამშრომელს დრო სჭირდება ორგანიზაციის საქმიანობასთან ადაპტაციისთვის და პირველი პოზიტიური შედეგები საქმიანობის დაწყებიდან 9-12 თვეში არის მოსალოდნელი.
- კომპანია აგრძელებს შრომით საქმიანობას დასახული გეგმებისა და პროექტების რეალიზაციის მიმართულებით და აქვს პოზიტიური პროგნოზი 2024 წლის მოგებასთან დაკავშირებით. გამოწვევად კვლავ რჩება დაბალი ბრუნვა და მოგება სამოქალაქო უსაფრთხოებისა და დისტრიბუციის განყოფილებებში. 2024 წლის განმავლობაში კომპანია გეგმავს ამ 2 მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ორივე მიმართულებით ბრუნვისა და მოგების სტაბილური ზრდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს რეპორტის გამოშვების შემდეგ 12 თვის მანძილზე.

24. წინა პერიოდის შეცდომა

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომა. შეცდომების უდიდესი ნაწილი უკავშირდებოდა ფულისა და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და სესხების მიმდინარე ნაწილის გადაფასებას. პროგრამული ხარვეზის გამო 2021 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში არასწორი კურსით ხდებოდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება. მსგავსი ხარვეზი არ დაფიქსირებულა 2021 წლის სხვა თვეებში, ასევე, არც მთელი 2022 წლის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სააღრიცხო შეცდომით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე და მათ საწყის ნაშთებზე:

	წარდგენილი	*კორექტირება*	*შესწორებული*
	2021 წლის 31 დეკემბერი		**2021 წლის 31 დეკემბერი**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3,454,574	-	3,454,574
არამატერიალური აქტივები	12,262	-	12,262
სულ გრძელვადიანი აქტივები	**3,466,836**	**-**	**3,466,836**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	1,280,926	-	1,280,926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445,519	88,356	533,875
საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო	1,548,201	(5,236)	1,542,965
ფული და ფულის ეკვივალენტები	639,248	44,104	683,352
სულ მოკლევადიანი აქტივები	**3,913,894**	**127,224**	**4,041,118**
სულ აქტივები	**7,380,730**	**127,224**	**7,507,954**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3,433		3,433
გაუნაწილებელი მოგება	4,524,992	146,438	4,671,430
სულ საკუთარი კაპიტალი	**4,528,425**	**146,438**	**4,674,863**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	104,172		104,172
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**104,172**	**-**	**104,172**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,593,107	(11,157)	1,581,950
მოკლევადიანი სესხები	1,155,026	(8,057)	1,146,969
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**2,748,133**	**(19,214)**	**2,728,919**
სულ ვალდებულებები	**2,852,305**	**(19,214)**	**2,833,091**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**7,380,730**	**127,224**	**7,507,954**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სააღრიცხვო შეცდომით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	წარდგენილი 2021 წელი	*კორექტირება*	*შესწორებული* 2021 წელი
ამონაგები	6,958,884	(5,236)	6,953,648
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,222,202)	-	(3,222,202)
საერთო მოგება	**3,736,682**	**(5,236)**	**3,731,446**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,388,616)	-	(1,388,616)
საოპერაციო მოგება	**2,348,066**	**(5,236)**	**2,342,830**
ფინანსური შემოსავალი	1,254	-	1,254
ფინანსური ხარჯი	(120,691)	-	(120,691)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა	27,068	-	27,068
მოგება/(ზარალი)საკურსო სხვაობიდან	(32,066)	151,674	119,608
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**2,223,631**	**146,438**	**2,370,069**
მოგების გადასახადის ხარჯი	(75,832)	-	(75,832)
წმინდა მოგება	**2,147,799**	**146,438**	**2,294,237**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული მოგება	**2,147,799**	**146,438**	**2,294,237**

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენალ რომელიც გამოიწვევდა 2022 წლის ფინანსური უწყისის მონაცემების ცვლილებას.